# ჩვენი გზა

№ 11

თფილისი

1907

სამშაბათი, 18 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.


Библиотека


№ 11 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 11



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ჩვენი გზა**

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11-დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გაზეთ **„ჩვენი გზა“**-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ **НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ**.

მედიცინის დოქტორი

**ს. ა. ლიური**

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის** და **ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.


**არჩევნები სახელმწიფო დუმაში**

—

თფილისის ქალაქის თვითმართველობა აუწყებს საზოგადოებას, რომ ქ. თფილისის, თფილისის და ბორჩალოს მაზრების ქალაქის ამომრჩეველთა კრება დანიშნულია ადგილობრივ მცხოვრებთა კურიისა—27 სექტემბერს და რუსთა კურიისა კი—30 სექტემბერს. არჩევნები მოხდება პირველ განყოფილებისა (1, 2 და 10 ქალაქ თფილისის ნაწილების და ბორჩალოს მაზრის ქალაქის ამრჩევლების) ზუბალოვის სახელობაზე აშენებულ სახალხო სახლში. მეორე განყოფილების (3, 4, 5 და 9 ნაწილები) ქალაქ თფილისის თვითმართველობის შენობაში, მესამე განყოფილების (6, 7 და 8 ნაწილების და თფილისის მაზრის ქალაქის ამომრჩევლების) ვარშამოვის თეატრში (ავლაბარში). რუსთა კურიის არჩევნები მოხდება ზუბალოვის სახელობაზე აშენებულ სახალხო სახლში.

პირველ განყოფილებაში უნდა იქნეს არჩეული ორი ამრჩეველი, მეორეში და მესამეში სამ-სამი და რუსთა კურიაში კი თერთმეტი. თანახმათ შინაგან საქმეთა მინისტრის დამტკიცებულ ინსტრუქციისა ამრჩეველთა სიები წარმოადგენენ ჩვეულებრივ ფორმატის თეთრ ქაღალდის მთელ ფურცელს ან ნახევარ ფურცელს (იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ამრჩეველი იქნება არჩეული) შედგენილი უნდა იქმნეს რუსულ ენაზე. ამომრჩეველთა სიაში უნდა იქნას ნაჩვენები, როგორც გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირის, რომელსაც ამრჩეველი ირჩევს, აგრეთვე წოდება, საცხოვრებელი ადგილი და ანუ ამომრჩევლის სიის ნომერი. სიაში არ უნდა იყოს არავითარი შენიშვნა, ნიშანი, აგრეთვე არც ერთ გვერდზე არ უნდა იყოს რამე გასწორებული და ან წაშლილი. თუ ისე არ იქნება სია დაწერილი, როგორც აქაა ნაჩვენები, არ იქნება მიღებული. ზემო მოყვანილი ცნობა ჩაიწერება ამომრჩეველთა სიაში ისე, როგორც ამრჩეველი სამჯობინოთ დაინახავს (ან ხელით ჩაწერს, ან დაბეჭდავს და სხვა) ამრჩეველთა სიები შეუძლიათ შეადგინონ ამრჩევლებმა ან არჩევნების წინადღეებში, ანდა ამრჩეველთა კომისიის შენობაში. ამომრჩეველთა სიები უნდა იქნეს ჩადებული იმ კონვერტებში, რომლებიც დარიგდება ქალაქის თვითმართველობისაგან, ამისთანავე დაიბეჭდება ეს კონვერტები თავისავე წებოთი და არავითარი ბეჭედი არ უნდა იყოს დაკრული. კონვერტში უნდა იყოს ჩადებული მხოლოდ ერთი ამომრჩევლის სია. (3—6.—2)


**თფილისის** პროფესიონალურ კავშირების ცენტრალური ბიურო **„სარდაფების მუშათა პროფესიონალურ კავშირთან“** შეთანხმებით ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ „კახეთის“ საზოგადოებას

**ბოიკოტი მოეხსნა**

(3—6—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

**სკოლებში შესასწავლი**

**ქართველი მწერლები**

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

წიგნი პირველი,

მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. შეიცავს 416 გვერდს და **ღირს ყდით თოთხმეტი შაური**. მაღაზიებს და სასწავლებლებს დაეთმობა 20 პროცენტი.

ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა). ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (3—6—3)


**ახალი „კადეტების დამქაშები“.**

I

მეტათ საგულისხმო მოვლენა ხდება ამ ჟამათ ბოლშევიკების ბანაკში. „გაკაჟებულთა“ ციხე-სიმაგრე საძირკვლიანათ შეირყა. ბოლშევიკების ფრაქცია დღეს ირღვევა, ნაწილ-ნაწილათ ქუცმაცდება და, რაც უარესია, მისი სხვადასხვა ნაწილები ერთი მეორეს „მტრულათ“ უპირდაპირდებიან, ერთი მეორის წინააღმდეგ დაუნდობლათ ილაშქრებენ. სადღაა ის საარაკო ერთსულოვნება, ის ერთ-აზროვნება და ერთი პლანით მოქმედება, რომლითაც ბოლშევიკები მუდამ ამაყობდენ მენშევიკების წინ და რომლითაც, უნდა ვაღიაროთ, ბოლშევიკები მართლაც ბევრათ „ჯობნიდენ“ მენშევიკებს. ამ უკანასკნელებს წარმოდგენაც კი არ ქონდათ იმ წმინდა-სამხედრო დისციპლინაზე რომელიც გამეფებული იყო მთელ ბოლშევიკურ ფრაქციაში. ამ ფრაქციას, დაყრდნობილს ბლანკიზმის ორგანიზაციულ და ტაქტიკურ პრინციპებზე, სათავეში უდგენ თითო-ოროლა სარდლები, ამათ თავის მხრივ მეთაურობდა ერთი მთავარ სარდალი და მთელი ფრაქცია კი წარმოადგენდა ერთ გაწვრთნილ, მტკიცეთ შეკავშირებულ რაზმს, რომელიც ერთგულათ, სიტყვის შეუბრუნებლათ იცავდა და ასრულებდა იმას, რასაც მისი გენერლები უკარნახებდენ მას; მთელი ფრაქცია ყოველთვის ერთგულათ და მორჩილათ, მწყობრათ შეტრიალდებოდა ხოლმე იქით, საითკენაც გაიქნევდა მათი მთავარ სარდალი თავის შესანიშნავ „პალოჩკას“.

ყოველივე ეს დღეს ქრება, როგორც შარშანდელი თოვლი. ბოლშევიკების ფრაქციაში დღეს ერთი მეორეს უპირდაპირდებიან მისი გენერლები და ბევრნი ამ უკანასკნელთაგანი სასტიკათ ილაშქრებენ თვით მთავარ-სარდლის წინააღმდეგაც კი. გენერლების ასეთი განხეთქილება ბადებს განხეთქილებას თვით ფრაქციის სხვადასხვა ნაწილებს შორის და ერთი ამ ნაწილთაგანი დღეს თითქო სრულიად ზურგს აქცევს თავის ძველ მთავარ-სარდალს ლ—ნს, რომელსაც იგი დღეს აღარ ეპუება, აღარაფრით ერიდება, გატრიზავებით უყვირის და დასცინის, „კადეტების დამქაშ“ უწოდებს და სხ..

რა მოხდა, რამ შეარყია ასე „გაკაჟებულთა“ ციხე-სიმაგრე? რამ არივ-დარია მათი საუცხოვოთ გაწვრთნილი, მტკიცეთ შეკავშირებული, მწყობრი რაზმები? რამ და ცხოვრების ულმობელმა „რკინის კანონმა“, იმ ცხოვრების, რომელსაც უტოპისტი ამხანაგები თითქო აბუჩათ იღებდენ, შესაფერ ანგარიშს არ უწევდენ და ცდილობდენ მისგან დამოუკიდებლივ, მის პირობებთან შეუფარდებლათ და თავისი სურვილის მიხედვით. ეწარმოებიათ თავისი ტაქტიკა გეხსომებათ ბოლშევიკების ტაქტიკა, ეგრეთ წოდებული „ტაქტიკა—პლანი“. ბოლშევიკებმა ჯერ „მოძრაობის“ დაწყებამდე შეიმუშავეს ის პლანი, რა პლანითაც მოძრაობას თავისი მსვლელობა უნდა ეწარმოებია და ამის მიხედვით შეიმუშავეს მათ თავიანთი ტაქტიკა—პლანიც. ბოლშევიკებს არ სურდათ და ვერც წარმოედგინათ, თუ მოძრაობა მათ მიერ შემუშავებული შაბლონით არ იწარმოებდა. და კვალათ, ს.-დ-იის ტაქტიკა, ბოლშევიკების აზრით, „გალაშქრების“ მზადებიდ ან უნდა ყოფილიყო დაწყებული, და სხ. ასე მსჯელობდენ პლანების მოყვარული ამხანაგები და ვინც ასეთ პლანებს არ თანაუგრძნობდა, ის, მათი აზრით, ს.-დ. არ იყო. ბოლშევიკები სასაცილოთ იღებდენ და „კადეტების დამქაშებს“ ეძახდენ იმ ამხანაგებს, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ მოძრაობა არ ივლის ჩვენი სურვილისამებრ, ჩვენგან წინდაწინ ნაჩვენები გზით, ჩვენი შემუშავებული პლანით და შაბლონითო. ყოვლად შეუძლებელიცაო, ამბობდენ ეს ერეტიკები, წინდაწინ იმ გზის განსაზღვრა, რომელსაც მოძრაობა უეჭველათ დაადგება და რომელიც მეტათ რთული, მიხვეულ-მოხვეული და ახლართულ-დახლართულიაო. და ჩვენ, შეგნებულ მომქმედთ, მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ მოძრაობის თითოეულ მომენტში ჩვენი მოქმედება თვით ამ მომენტის კონკრეტულ პირობებს შევუწონ-შევუფარდოთ და ყოველი ისეთი მოვლენა, რომელსაც შეუძლია მოძრაობა გაანაყოფიეროს, ჩვენ უნდა მარჯვეთ გამოვიყენოთ და მის განვითარებას ხელი შევუწყოთო. ყველაზე უფრო თვალსაჩინო ასეთ მოვლენებს შორის დღეს-დღეობით არის სახელმწიფო დუმა. ჯერ კიდევ მხოლოდ დაპირებული იყო მთავრობა დუმის მოწვევას, და მაშინაც კი მენშევიკები ამტკიცებდენ—დუმაში მონაწილეობა უნდა მივიღოთ, ეს დიდმნიშვნელოვანი ცოცხალი პოლიტიკური მოვლენაა, მას ჩვენ ვერას გზით თავიდან ვერ ავიცილებთ, რადგან ხალხის ფართე მასსა მასში უეჭველათ მონაწილეობას მიიღებსო; ყოველივე ამის გამო ჩვენ არ შეგვიძლია მას ანგარიში არ გავუწიოთ. ჩვენ აუცილებლათ უნდა ჩავერიოთ საქმეში და ვეცადოთ, რომ ეს მოვლენა—სახ. დუმა მოძრაობის გასანაყოფიერებლათ გამოვიყენოთო. ასე უყურებდენ თავიდანვე დუმას და მის როლს მოძრაობაში მენშევიკები. სულ სხვანაირათ ბჭობდენ ბოლშევიკები. მათ პლანებში, რასაკვირველია, არ შედიოდა დუმის დაარსება, ეს არ ეთანხმებოდა მათ გეგმას, მოძრაობის წარმოებისას, მათი აზრით დუმა მხოლოდ დასცემდა მოძრაობას და ამიტომ მათ იმ თავითვე გადაწყვიტეს ზურგი შეექციათ და ბოიკოტი გამოეცხადებიათ მისთვის, განეგრძოთ თავიანთი მზადება „გალაშქრებისათვის“ და მენშევიკების ტაქტიკა კი ულმობელი კრიტიკით გაექარწყლებიათ. მაგრამ დახეთ ბოლშევიკების გაოცებას! მათი ბოიკოტი სასაცილოთ აიღო ცხოვრებამ: დუმა არა თუ არ ჩაიშალა ბოიკოტით, არამედ ოდნავათაც არ შეფერხდა მისი შეკრება; და ბოიკოტმა, სარგებლობის მაგივრათ, მხოლოდ ის ზარალი მოუტანა მოძრაობას, რომ მისი მეოხებით ვეღარ შესდგა დუმა, რომელიც სულ სხვა სულს ჩაბერავდა მთელ მოძრაობას,—და კიდევ ის ზარალი, რომ ბოიკოტის მეოხებით ხალხის მასსაზე შეუფერებელი გავლენა მოიპოვა კადეტების პარტიამ ს.-დემოკრატიის გავლენის საზარალოთ და მაშასადამე, მთელი მოძრაობის საზარალოთაც.

რა მოხდა შემდეგში ამაზე ხვალ.

# ახალი ამბები

—

როგორც ფრანგული გაზ. „ჰუმანიტე“ გადმოგვცემს, პარიზში ჩასულა ბათუმის როტშილდის ქარხნის წარმომადგენელი ბ-ნი სოლორაშვილი. სოლორაშვილს სპეციალური მინდობილობა აქვს ქარხნის მოსამსახურეთა მოთხოვნები პირადათ როტშილდს წარუდგინოს.

✦ **კრება პურზე ნიხრის შესახებ.** 15 სექტემბერს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა კრება თფილისის მეპურეებისა. კრებას დაესწრენ მუშების წარმომადგენელნი, ქალაქის საბჭოს წევრები და სხ. კრებამ იქონია მსჯელობა იმის შესახებ, რომ გამოერკვია მიზეზები თფილისში პურის გაძვირებისა. როგორც მეპურეები ამტკიცებდენ მიზეზი რუსეთში ფქვილის გაძვირებაა. ამისთვის მეპურეები მოითხოვდენ მეორე ხარისხის პურზე იქნეს ნიხრი 5 ნახევარ კაპ. ემსამეზე 5 კაპ. ქალაქის საბჭოს წინადადება იყო: მეორე ხარისხზე 5 კაპ. მესამეზე—4 ნახევარ კაპ. კითხვის საბოლოოთ გადაწყვეტა მიენდო მიენდო ქალაქის თვითმართველობას.

✦ **არჩევნები** საგურამოს რაიონში. 14 ენკენისთვეს მოხდა კრება სამაზრო ამომრჩევლებისა, სადაც იღებდენ მონაწილეობას ათისთავები. ამორჩეულ იქნენ გიორგი გულბათაშვილი—41 თეთრი კენჭი და ერთი შავი, მეორე გაბრიელ მამულაშვილი—იმასაც 41 თეთრი კენჭი და 1 შავი. თუმცა პოლიციის თანდასწრებით მოხდა არჩევნები, მაგრამ ხალხმა მაინც „ერთობის“ კაცები გაიყვანა. ამავე დღეს ღამის პირველ საათზე დააპატიმრეს ი. ჭავჭავაძის მოურავი დ. ჯაში.

— 14 სექტემბერს მოხდა გორის მაზრის გლეხთა კურიის რწმუნებულების არჩევნები. ყველა არჩეულნი ს.-დ.

— დღეისათვის დანიშნულია მიხაილოვის რაიონის წვრილ მემამულეთა ამომრჩევლების კრება რწმუნებულების ასარჩევათ.

✦ **კრება.** 16 სექტემბერს დანიშნული ნოქართა საზოგადო კრება არ შესდგა სხვადასხვა მიზეზების გამო. კრებას უნდა განეხილა წესდება პროფ. კავშირისა და დაემტკიცებინა კიდეც.

— 16 სექტემბერს ხაზეინ მეპურეებს ქონდათ საზოგადო კრება იმის შესახებ თუ, როგორ დააკმაყოფილონ გაფიცული მუშები; კრებას დაუდგენია მისცენ მუშებს გაფიცვის დროის ნახევარი ჯამაგირი და პურის ფული. 17 სექტემბერს ამ დადგენილებას განიხილავენ მუშები; თუ შეთანხმდენ, მუშაობას შეუდგებიან.

✦ **ახალი გაზეთი.** 16 სექტემბერს ქუთაისში გამოვიდა ახალი კვირეული გაზეთი „ცისკარი“.

— 15 სექტემბერს გორში სადგურზე დააპატიმრეს ი. ავალიანი.

— 15 სექტემბერს მოხდა კრება მეჯვრისხევის და ახალქალაქის ამომრჩეველ წვრილი მემამულეებისა ქ. გორში. რადგანაც კრებაზე არ დაესწრო საკმარისი რიცხვი ამომრჩევლებისა, ამისათვის სამი რწმუნებულის მაგიერ აირჩიეს ერთი მემარცხენე.

✦ **დაპატიმრება.** როგორც გვატყობინებენ 15 სექტემბერს, რიონის სადგურზე დაუჭერიათ მირიან ჭანიშვილი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ადმინისტრაციამ გადაასახლა, როგორც პოლიტიკური დამნაშავე.

— როგორც ბასილეთიდან (გურია) გვატყობინებენ, იქ დაუჭერიათ კალენიკე ჟღენტი.

✦ **მუშაობის განახლება.** ამ დღეებში სოსინის სალებავი ქარხნის მუშები შეურიგდენ ხაზეინს და შეუდგენ მუშაობას.

✦ **პანაშვიდი.** 9 სექტემბერს, ილ. ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს, „ქართველთა საზოგადოების“ თაოსნობით, მოსკოვში, მიძინების ეკლესიაში გადაიხადეს წირვა-პანაშვიდი, რომელსაც დაესწრენ „ქართველთა საზოგადოების“ წევრნი და მრავალი მოსწავლე ახალგაზდობა.

✦ **კრება.** 16 სექტემბერს მოხდა საზოგადო კრება თფილისის მენარდე დურგალთა პროფესიონალური საზოგადოების წევრებისა. კრებამ აირჩია 9 კაცისაგან შემდგარი ახალი გამგეობა: შ. კოკელაშვილი, დ. დავიდოვი, სან. კაპანაძე, მ. მაჭავარიანი, გ. მირიანოვი, გ. ჩუბინიძე, დ. კახნიაშვილი, ვ. შავერდაშვილი, პ. ზავლიაშვილი; მათ ამოურჩიეს რამოდენიმე კანდიდატები.

✦ **ქართულ დრამატ. საზოგადოების კრება.** 16 სექტემბერს მოხდა ქართული დრამატიული საზოგადოების კრება. კრებამ აირჩია ახალი გამგეობის წევრი ალ. პ. სარაჯიშვილი; გამგეობის კანდიდატებათ: ივ. გომართელი, ექიმი კილოსანიძე და გ. მაჩაბელი; აირჩიეს სარევიზიო კომისის წევრებათ: გ. გაბაშვილი, ფავლენიშვილი და დ. ჯმუხაძე.

ამ რამოდენიმე დღეში გამგეობას ექნება სხდომა იმ კითხვის გადასაწყვეტათ, თუ როდის და ვინ მიიღოს თავის თავზე წარმოდგენების მართვა ქართულ ენაზე.

✦ თფილისის ტრამვაის უმუშევართა კომისია აცხადებს, რომ 27 ამ თვეს ტრამვაის კანტორაში მოხდება „პერეკლიჩკა“ უმუშევართა კანდიდატებისა. ამიტომაც საჭიროა ვისაც ჯერ არს, გამოცხადდენ დანიშნულ დღეს.

✦ ბ-ნ ალექსანდრე გურამოვს, რომელიც ცხოვრობს მალაკნის ქუჩაზე ბანკის სახლში № 27, ბინა 13, მიუღია უსახელო წერილი შანტაჟისტებისაგან, რომლითაც ემუქრებიან სიკვდილს თუ ამ კვირაში სახლი არ დაცალა.

წერილს აზის დიდი ბეჭედი წარწერით „группа тер.“

✦ დაპატიმრება. 15 სექტემბერს პოლიციამ შეიპყრო გორის მაზრის მცხოვრები ნიკოლოზ მუჩაიძე, მას ეჭვებით ბრალს სდებენ გენერალ დოლუხანოვის სიკვდილის განზრახვაში. როგორც გამორკვევიათ მუჩაიძე მუქარის წერილებით ფულს სტყუებდა სხვებს.

✦ დაცემა. 15 სექტემბერს, საღამოს სოსინის სალებავ ქარხნის კანტორას დასცემიან 8—9 შეიარაღებულნი უცნობნი. კასიდან გაუტაცნიათ 120 მან. და იქ მყოფ სამდურავის და ხუციშვილისათვის ჯიბიდან ამოუგლეჯიათ 45 მან. დამცემნი მიმალულან.

✦ დაჭრა. 15 სექტემბერს საღამოს 9 საათზე; სერებრიანის ქუჩაზე უცნობ ბოროტმოქმედს რევოლვერის ტყვიით დაუჭრია ვიღაც კაცი, ხელობით მკერვალი. მასპორტი ჰქონია ქალ. ელისავეტპოლის მცხოვრებ სერგო მაკაროვისა 29 წლის.

# რუსეთის პრესა

**„მამები“ და „შვილები“**

გაზ. „რეჩი“ სიხარულით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ სტეტენტობის წარ-

მომადგენელთა კონფერენციამ ამ სააკადემიო წლის დამდეგს უარყო საუნივერსიტეტო გაფიცვა და აქედან ის დასკვნა გამოყავს, რომ სტუდენტობა უკვე შორდება პოლიტიკურ ცხოვრების აბობოქრებულ ზღვას და ქვიანურათ შესული ბუნებრივ ნავთ-საყუდელში, მთელის არსებით ეძლევა მეცნიერების შესწავლას. და ეს აგრეც უნდა იყოსო, ადასტურებს გაზეთი და თან განმარტავს:

„ამ პროცესის აჩქარებაში, რასაკვირველია, არა მცირედი როლი ითამაშა „მამებისა“ და „შვილების“ ურთიერთობათა შეცვლამ. ჯერ არც ისე შორს არის ის დრო, ანუ უკეთ ის სამწუხარო უდროობა, როცა დამფრთხალი „მამები“ შეკუჭულიყვენ თავიანთ „სოროებში“ და შეშინებულნი იცქირებოდენ გარეშემო: ხომ არავინა გვხვდავს და ხომ არავის ესმის ჩვენი გოდება-ჩივილი თვითნებობის სიდუხჭირეზე. ადამიანის უფლებათა მოპოების მთელი სიმძიმე მინაბრებული იყო სუსტ ბეჭებზე ჩვენის განსაკუთრებულათ დიდებულ ახალგაზრდობისა, და ამ უკანასკნელმაც ასეთის თავგანწირულის სიმამაცით გაატარა იგი ტვირთ გაუთავებელ გრძელ გზაზე.

„ეხლა კი, როდესაც საქმეთა მსვლელობამ „მამები“ გამოდევნა პოლიტიკურ ასპარეზზე, როდესაც ჩვენშიაც, მიუხედავათ ყველა შევიწროება-დაბრკოლებათა, მაინც ვითარდება პოლიტიკური პარტიები, როდესაც პოლიტიკურ ცხოვრების ცენტრი გადატანილ იქნა სკოლიდან ცხოვრებაში, ეხლა „შვილებს“ სრული უფლება აქვთ მიეცნენ იმ მთავარ საქმეს, რომლის სასამსახუროთ მოწოდებულია სკოლა.

ასე რომ, გაზ. „რეჩი“ ითხოვს ერთგვარ შრომის განაწილებას. მძიმე ტვირთი რუსეთის განახლებისა აქამდის ზიდეს „შვილებმა“ თავიანთ სუსტი ბეჭებით; ეხლა კი ეს ტვირთი აიღეს „მამებმა“ და მაშ პირველნი უკვე თავისუფალნი არიან. შრომის ასეთი განაწილება დღესაც რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მაშინ ეჭვს გარეშე იქნებოდა, რომ სანატრელ განახლებამდე ჯერ კიდევ ბევრი მამალი იყივლებდა, მარა ჩვენდა სანუგეშოთ პოლიტიკურ ასპარეზზე „გამოდევნილ“ „მამებმა“ რამდენიც უნდა უქადაგონ „შვილებს“ გარეთ არ გამოიხედოთო, კეთილშობილი და მგრძნობიარე „შვილები“ მაინც ისე არ გაქვავდებიან, რომ თავის დროზე არ მიეშველონ ჭირის ოფლში გატარებულ „მამებს“.

* *
*

სად არის შველა-ხსნა?

თუ რუსეთის განახლების საქმე ასე გაჯანჯლდა, ამაში ნამდვილი დამნაშავეა... რუსეთის ინტელიგენცია. ასე აცხადებს ცნობილი პეტრე სტრუვე (იხ. „ტოვარიშჩში“ მისი წერილი რედაქციისადმი). [illegible], თუ რუსეთს თავს დაატყდა 3 ივნისის კატასტროფა, აქაც დამნაშავეა იგივე

„რუსეთის ინტელიგენცია, რომელიც ქედს იხრის და ბრმათ ემორჩილება პროგრამების, ლოზუნგების, რევოლიუციების ასოს და ეს მორჩილება ნამდვილ ფეტიშიზმს უდრის“.

სტრუვეს აზრით მთელი ბოროტება იმაშია, რომ ეს ინტელიგენცია გაჟღენთილია რევოლიუციონარიზმით და სრულებით ვერ ხედავს ცხოვრების რეალურ პირობებს. ხოლო რეალური ცხოვრება კი სტრუვეს ასეთ დასკვნას აძლევს:

„კონსტიტუციონურ მდგომარეობის შველა-ხსნისათვის საჭირო არის რევოლიუციონარიზმი გავიდეს რუსეთის ცხოვრებიდან“.

კარგა ხანია უკვე, რაც პ. სტრუვე ასეთ „რეალურ პოლიტიკის“ მოციქულათ გამოდის, მარა არც რევოლიუცია ქრება და მასთან, რაც დრო მიდის, სტრუვეს უფრო და უფრო ეკარგება გავლენა განმანთავისუფლებელთა ბანაკში. ასე რომ, რევოლიუციონარიზმის ნაცვლათ პ. სტრუვეს თავისი თავი გაჰყავს რეალურ ცხოვრების გარეთ... მარა „რეალურ ცხოვრების“, „რეალურ მკვლევარს ერთი „პატარა“ გარემოება ეპარება მხედველობიდან: ცხოვრებასა ჰქმნის არა ინტელიგენცია, არამედ ხალხის მასსა.

# მუშათა შორის

**ბათუმი.** (სიდერიდისის ქარხნის მუშათა ცხოვრებიდან). ამ რამდენიმე ხნის წინათ სიდერიდისის ქარხნის მუშებმა ამოირჩიეს კომისია, რომელსაც მუშაობის პირობების გაუმჯობესობისათვის გეგმის შედგენა დაევალა. კომისია შეუდგა კიდეც თავის მოვალეობის შესრულებას, მაგრამ, სამწუხაროთ, პირველ მოლაპარაკებისთანავე თავი იჩინა ისეთმა მიმდინარეობამ, რომ საქმე სულ აიწეწ-დაიწეწა. მიზეზი ის იყო, რომ მოყვა რამდენიმე წევრი დაშნაკელების პარტიისა, რომელთაც საერთო საქმე განზე გადადვეს და თავიანთ ეროვნულ მადის დასაკმაყოფილებლათ გამოესარჩლენ მხოლოდ ათიოდ მუშას („პაიალშჩიკების“ თანაშემწეებათ) უფრო იმიტომ, რომ ისინი თავიანთ პარტიის წევრებათ გაეხადათ.

რაღა თქმა უნდა, ასეთმა მათმა საქციელმა მუშებში გამოიწვია მითქმა-მოთმა და უკმაყოფილება. კომისიის მიზანი იყო, როგორც ზევით ვთქვით, საერთო, ყველა მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება, განურჩევლათ ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პარტიულ-რწმენა-მიდრეკილებისა, მხოლოდ დაშნაკელებს არ სწამდათ ასეთი რამ და ყველგან, ყოველთვის მათი მიზანი მუშების ერთობის დარღვევა და მათ შორის შუღლ-განხეთქილების შეტანა ყოფილა. ასეთ უმსგავსო საქციელს სხვათა შორის, კიცხავდა ერთი ადგილობრივი მუშათაგანიც, თათოზ ჩალფარიანცი, რომელმაც ასეთი საყვედური კომისიის ერთ დაშნაკელ წევრს პირადათ მოახსენა. „რევოლიუციონერ“ დაშნაკელ-მაუზერისტმა ეს ვერ მოითმინა და პარტიის „მოღალატე“ ჩალფარიანცს პასუხი სახელის გატეხვით გასცა.

შეურაცხყოფილი და აღელვებული ჩალფარიანცი ამ ამბავს ყველას უამბობდა და პირველ შეხვედრისთანავე, სხვათა შორის, ქარხნის გამგესაც კი შესჩივლა ასეთი ველური საქციელი. დაშნაკელებმა ყოველივე ეს თითებზე დაიხვიეს და ჩალფარიანცი, „მოღალატეთ“ და ჯაშუშათ გამოაცხადეს თავიანთ ორგანოში. სხვათა შორის კერძო განცხადებაში იმასაც კი ამბობდენ, რომ, ვინც ჩალფარიანცთან საქმეს დაიკავებს, ის მოღალატეთა რიცხვში ჩაითვლებაო. ჩალფარიანცი თხოულობს ყველა მუშებიდან გასამართლებას და მათ მიერ დადგენილ სასჯელსაც ღებულობს. მუშებიც თავიანთ ვალდებულებათ თვლიან თავის ამხანაგ მუშის თვითონვე გასამართლებას. ამ აზრისაა ქარხნის ყველა ეროვნების მუშები, გარდა რამოდენიმე დაშნაკელებისა, და მოითხოვენ დაშნაკელების პარტიის წარმომადგენელთაგან დადგენილების უკანვე წაღებას, რადგან ამ ინციდენტის გამომწვევი მიზეზი ეხებოდა ერთობ ყველა მუშების საქმეს.

დაშნაკელები—თავისას მაინც არ იშლიან და მუშების მოთხოვნას წინ ეღობებიან. ეს მათთვის ხელ-საყრელიცაა: ერთი ერის მუშები მეორე ერის მუშებს გადაკიდონ, ისინი ერთმანეთიდან განაცალკევონ და მათ შორის ძმობა-სოლიდარობა მოსპონ, აი მათი უმთავრესი მიზანი. იმედია, სიდერიდის ქარხნის შეგნებული მუშები და დაშნაკელი მუშებიც ასეთ შეცდომას გვერდს აუვლიან, რადგან მათი საერთო ინტერესი მოითხოვს ერთმანეთ შორის მჭიდრო კავშირი იქონიონ საერთო მტრის წინააღმდეგ, თავიანთ საქმეს თვითონვე გაუძღვენ და ზემო აღნიშნული შემთხვევაც ავალებს მუშებს ენერგიულათ ჩაერიონ საქმეში, რათა მოსალოდნელი სამწუხარო შედეგი თავიდან აიშორონ.

სიდერიდის მუშებისაგან არჩეული კომისია.

## არჩევნები თფილისის დეპოში.

14 სექტემბერს დილის ათ საათზე თფილისის დეპოს მუშებში მოხდა არჩევნები სახელმწიფო დუმის რწმუნებულისა (ერთის). არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ქონდა 324 მუშას. არჩევნებზე გამოცხადდა 168 კაცი. აღსანიშნავია შემდეგი გარემოება; არჩევნების დაწყებამდი რამდენიმე მუშამ მოლაპარაკება გამართა იმის შესახებ, რომ დეპოს უფროსისთვის ეთხოვათ არჩევნებზე დასწრებოდა, რადგან იმათი აზრით უიმისოთ წესიერება არ იქნებოდა დაცული მაგრამ ამაზე უფროსმა უარი განაცხადა, ნება არ მაქვსო. და მუშები კრებაზე დარჩენ „უპატრონოთ“ მაგრამ დიდათ საკვირველობას „უპატრონო“ მუშათა კრება მშვენიერი წესით ჩაიარა. კრებაზე 168 კაცის გარდა 100-ზე მეტი უხმო მუშა დაესწრო, აირჩიეს თავმჯდომარე. კრებაც გაიხსნა სრული წესიერებით. კრების გახსნის დროს გამოცხადდა ერთი ამავე დეპოს მომუშავე „ჭეშმარიტი რუსი“ მ. და განაცხადა, რუსები აქ არჩევნებში არ ვიღებთ მონაწილეობასო და წავიდა. მას უპასუხეს ისევ იქ მდგომ რუსებმა, ჩვენ ვიღებთ და შენ თუ არ გინდა წადიო. კრებიდან მათ არავინ გაყოლია, მხოლოდ 10 თუ 12 თამოზრენი სრულებით არ მოვიდენ კრებაზე, თუმცა შეეძლოთ მოსვლა, რადგან იქვე მუშაობდენ. ეს იმითი უნდა აიხსნას რომ პირველი და მეორე დუმის მაგალითებიდან იმათ იციან, რომ თავისას ვერ გაიყვანენ და ისევ „ბოიკოტი“ ამჯობინეს. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი სასაცილო გარემოება: არჩევნების დროს ერთი ადგილობრივი მომუშავე ვითომ ანარქისტი იქვე აგიტაციას ეწეოდა არჩევნების წინააღმდეგ იმის მიუხედავათ, რომ ეს აგიტაცია წაავავდა „ჭეშმარიტ რუსის“ მ. აგიტაციას. და ამიტომ ერთმა ამხანაგთაგანმა სამართლიანათ შენიშნა მას: „აქ შენს გარდა მ—ც იყო—სთქვა თავისი და წავიდა ხელს არ გვიშლის და შენ ნუ-ღა იმაზე უარესობას ამტკიცებო?

არჩევნები, რასაკვირველია წინააღმდეგ „ჭეშმარიტ რუსისა და „ანარქისტისა“ მოხდა. არჩეულ იქნა 162 ხმით 3 წინააღმდეგ ს. დ. ეს 3 ხმა მიიღო სხვა სამმა კანდიდატმა თითო თითომ, ორი ს. დ. ერთიც თანამგრძნობი, ასე რომ შეიძლება, ითქვას ს. დ. ერთხმათ იქნა არჩეულიო. არჩევნების დამთავრების შემდეგ რამდენიმე მუშამ თავმჯდომარეს თხოვა, რომ წინადადება მიეცა არჩეულისთვის გამოჩენილიყო, რაც თავმჯდომარემ სისრულეში მოიყვანა. არჩეული ავიდა მაღლა სკამზე და თავის მოკლე სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ჩვენ ყველა მუშები ვართ ერთი და იგივე ინტერესებით აღჭურვილი, ერთნაირათ ვიტანჯებით და ამიტომ ჩვენში არ უნდა სუფევდეს სხვა და სხვა აზრიო. შემდეგ ერთმა ამხანაგმა გააცნო კრებას დუმის მოწვევის მიზეზები, მისი მნიშვნელობა და მასთან (დუმასთან) ხალხის დამოკიდებულება, თუ როგორ უყურებდა ხალხი პირველ დუმას, მეორეს და ამის შემდეგ რას უნდა გამოელოდეს ის ამ დუმიდან, შემდეგ გაურკვია მესამე დუმის მოწვევის საარჩევნო კანონები და უმეტესი ყურადღება მიაქცია შემდეგს: ვითომ დუმა მაშინ შეძლებდეს ხალხის დაკმაყოფილებას, როცა ის გაივსება გამოცდილ კაცებით და „ჭეშმარიტ რუსებით“. აუხსნა მუშებს ვის ეძახიან გამოცდილებს და რამდენათ შეუძლიათ მათ მუშათა ინტერესების დაცვა. ამასთანავე რამდენათ შეუძლიათ „ჭეშმარიტ რუსებს“ ხალხის ინტერესების დაცვა, მიუთითა მუშებს ერთსულოვნების აუცილებლობაზე განურჩევლათ ეროვნებისა და სხ. და აგრეთვე, რომ ნამდვილი რუ-

## პოლიტიკური საკითხები.

უკანასკნელ დღეებში ლოძში დიდი საცოდაობა დატრიალდა. საქმე ასე ყოფილა: ზილბერშტეინის ფირმით არსებულ აქციონურ საზოგადოების ფაბრიკის მუშებს გაფიცვა გაუმართავთ. გაფიცვა ორი კვირა გაგრძელდა და შეთანხმებით გათავდა. მუშებმა საზოგადოებას გაცდენის ფული მოთხოვეს... ფულს მათ არავინ აძლევდა. მაშინ მუშებმა მოიწვიეს მოსალაპარაკებლათ საზოგადოების დირექტორი და მთავარი აქციონერი ზილბერშტეინი. რა მოხდა იქ მათ შორის, დაბეჯითებით არავინ იცის, მხოლოდ ზილბერშტეინი კი მოკლული ნახეს... ადმინისტრაციამ ზომები მიიღო. დაუტყვევებიათ ათასი მუშა; მათ შორის ორმოცდა ათი მძიმეთ დაჭრილია.

როდის მოეღება ბოლო ლოძში ორივე მხრის ტერორს?

**

საჯაყა საქმე დაემართა „ძმა-ბიჭებს“. ზუბატოვმა ბულაცელი ვერ იცნო და ბულაცელმა ზუბატოვი. ზუბატოვი ეხლა „ოხრანოე“ განყოფილების უფროსათ არ ითვლება, ის უკვე „ლიტერატორია“. ამას წინათ ამ ცნობილმა პროვაკატორმა თავად მეშჩერსკის გაზეთში წერილი მოათავსა, რომელშიაც რუსეთის მოსარჩენ წამლათ სახელმწიფო დუმის კანონმდებლობითი ფრთების შეკვეცას ალიარებს. პაპა-დუბროვინის სურვილი კი უფრო რადიკალურია, ის მომხრეა სახელმწიფო დუმა თავის „მილიონების“ შემწეობით ერთიანათ წალეკოს. „ხაზეინების“ ჩხუბში „მოსამსახურეებიც“ ჩაერიენ „წმინდა რუსების საბჭოს“ მოსკოვიდან კავშირის წევრებისაგან წერილი მიუღია, რომელშიაც წევრები ჩივიან, რომ მათ ზუბატოვის „ბუნტოვშჩიკებს“ უგზავნის კავშირი. ზუბატოვმა და მისმა აგენტებმა 1903 და 1904 წ. დიდი არეულობა გამოიწვიეს ჩვენ შორისო, იწერებიან „წმინდა რუსთა“ „მუშები“, და ეხლაც მისი აგენტები თქვენი სახელით ჩვენში აგიტაციას ეწევიანო. „მუშები“ „შავ“ აგიტატორებს უნდობლობას უცხადებენ იმ შიშით, რომ ვაი თუ ისევ არეულობის გამართვა მოგვიხდესო.

„კონსტიტუციონურ“ რუსეთში ზუბატოვიც „წითლათ“ ითვლება და საშიშ „რევოლიუციონერათ“ გადიქცა.

**

ლიბერალურ წრეებში კომპრომისის იდეა მწიფდება. ბურჟუაზიულ საზოგადოებას ეჭვი შეეპარა განმათავისუფლებელ ბრძოლის ძლევა-მოსილებაში და ტაქტიკის შემწყობრით ცდილობს 17 ოქტომბრის მანიფესტის ნაფლეთები მაინც შეინარჩუნოს. ასეთი სულისკვეთება ძლიერ გავრცელებულია ეგრეთ წოდებულ უპარტიო ელემენტებში; უკანასკნელ ხანებში მან თავი იჩინა კადეტების ბანაკშიაც. კომპრომისულ ტაქტიკის საქმის სათავეში დგას პოლიტიკური ქამელეონი პ. სტრუვე. სტრუვეს სურს კომპრომისი მოახდინოს „ისტორიულ ძალა-უფლებასთან“. მიზნის მისაღწევათ ის არავითარ საშუალებას არ ზოგავს. ეს რომ ასეა, ნათელყოფს სტრუვეს მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი მეორე დუმის გარეკის წინა დღეს; გეხსომებათ, სტრუვე მაკლაკოვთან ერთათ სტოლიპინს ესტუმრა, რომ მასთან ერთათ შეემუშავებია მოქმედების გეგმა, რომელიც შეცვლიდა სფერების რისხვას. ამ დღიდან დაწყებული კომპრომისი დღიურ საკითხათ გადაიქცა პოლიტიკურ წრეებში. ლიბერალურმა ბურჟუაზიამ საკუთარი პოზიციის გასამაგრებლათ და გასამართლებლათ დიდებული სოციალისტები მარქსი და ლიბკნეხტი ყურით მოათრიეს და მოწმეებათ დაასახელეს. მაგრამ ასეთი კომპრომისის განსამტკიცებლათ მარქსის და ლიბკნეხტის მოწმობა სულ ტყუილია. მათი ავტორიტეტები ამ კითხვაში დიდია, მარა... მარა მხოლოდ მაშინ, თუ მათ აზრს კარგათ გავიგებთ.

სტრუვეს აზრით კადეტების პოლიტიკური ტაქტიკა არ იყო დღემდის „სტრუვეს ტაქტიკა“, ის ამ ტაქტიკას ეწინააღმდეგებოდა. კადეტებს რამოდენიმე შემთხვევა ქონდათ ხიდი გაედვათ საზოგადოებას და „ისტორიულ ძალა-უფლებას შორის, მაგრამ თურმე ვერც ერთი ეს შემთხვევა სასურველათ ვერ გამოიყენეს. პირველი კომპრომისი შესაძლებელი იყო ვიტესთან. ვიტეს სურდა კომიტეტში მოეწვია რამოდენიმე „საზოგადო მოღვაწე“. გადაჭარბებული მოთხოვნის და პოლიტიკური სიბრმავით კადეტებს ლუკმა პირიდან გაუვარდათ. მეორე შემთხვევა პირველი სახელმწიფო დუმის დროს იყო. ცნობილია, რომ იგნატიევი იმ ხანებში მილიუკოვთან მოსალაპარაკებლათ ეგრეთ წოდებულ „ცალკე კაბინეტებში“ დაძვრებოდა. ისიც ვიცით, რომ პირველი დუმის უკანასკნელ დღეებში (2 ივლისს) პეტერგოფში მოიწონეს სამინისტრო, რომელშიაც მილიუკოვი, მურომცევი, პეტრუნკევიჩი და როდიჩევი შედიოდენ. შეთანხმება მაინც არ მოხდა. თურმე მოსახერხებელი იყო კომპრომისი მეორე დუმის არსებობის დროსაც; ამისათვის, სტრუვეს სიტყვით, არსებობდა დეპუტატების მოქმედების გეგმა და თუ ეს გეგმა არ განხორციელდა, აქ სტრუვე დამნაშავე არაა: მას არ დაუჯერეს; კომპრომისს ჩვენში ხელს უშლიდა ერთი მხრით „რეაქციონური ჩვეულებები“ და, მეორე მხრით „კონსერვატიული რევოლიუციონერობა“.

რა არის იმისათვის საჭირო, რომ კომპრომისი შესაძლებელი დარჩეს? ამისათვის თურმე რუსეთის ინტელიგენტურ საზოგადოებამ უნდა წაბაძოს შემდეგ ისტორიულ პირების მოქმედებას: „პიემონტის კაროლმა კარლ ალბერტმა ტახტი შვილს დაუთმო, რადგან შვილს უფრო ეხერხებოდა ზავის ჩამოგდება, ვინემ მამას... ვიქტორ ემანუილ მეორემ ათი წლის შემდეგ სავოია პირობების გასაუმჯობესებლათ ფრანგების იმპერატორს გადასცა“. ეს ისტორიული მაგალითები, თანამედროვე პოლიტიკურ მომენტის შესაფერათ რომ განვმარტოთ, ნიშნავს, რომ კადეტების პოლიტიკურ მოქმედების დირიჟორათ მილიუკოვის მაგიერ სტრუვე უნდა გახდეს. გარდა ამისა ერთხელ და სამუდამოთ „უნდა გაძევებულ იქნას რუსეთის ცხოვრებიდან რევოლიუციონარიზმი“, მაგალითად, „მეორე დუმის დროს პროგრამა ხელს არ უნდა გვიშლიდესო; შესაძლებელია მისი შეთლა-შალოთლა. მეორე დუმის დროს რევოლიუციონერებთან კი არ უნდა მოეხდინათ კადეტებს შეთანხმება, არამედ, ცენტრალური „ბლოკი“ უნდა შეეკრათ „კონსტიტუციურ ელემენტებთან“.

*
* *

პარლამენტარიზმმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია თავის დროზე რეაქციონერთა და ბიუროკრატიის ბანაკებში. ყოველი მხრიდან გაიძახოდენ, რომ ის ევროპის ნიადაგზე მოსული ხილია და რუსეთის ნიადაგზე მისი დამყნობა შეუძლებელია; პარლამენტარიზმი არ შეეფერება რუსეთის ისტორიას და ამისათვის ის ანტი-პატრიოტული და ანტიკულტურული მოთხოვნილებააო. ეხლა კი რას ვხედავთ? როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, „ბიუროკრატიულ წრეებში ლაპარაკობენ, რომ თუ მესამე სახელმწიფო დუმა მემარჯვენეების დარჩა, მაშინ ეხლანდელი კაბინეტი გადადგება და თავის ადგილს ისეთ კაბინეტს დაუთმობს, რომლის პროგრამა უფრო მარჯვენა იქნება, ვინემ სტოლიპინის პროგრამა იყო“.

პარლამენტარიზმი მემარჯვენეებისათვის და „წყეული“ მემარცხენეებისათვის —აი როგორ სახეს და შინაარსს ღებულობს რუსეთის ტრადიცია“.

*
* *

ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელთა სიეზდის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ საჩქაროთ ვამოცემულ იქნას კანონი კერძო დაწესებულებებში გაფიცვის შესახებ. მოხსენების ბარათში ის აზრია გატარებული, რომ საქმის პატრონები იმდენათ გაფიცვისაგან როდი ზარალობენ, რამდენათაც მისი უორგანიზაციოთ და უწესრიგოთ გამართვისაგან. საბჭო თხოულობს აგრეთვე, რაც შეიძლება, საჩქაროთ გადასინჯულ და შეცვლილ იქნას 4 მარტის კანონი საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ ისე, რომ **პროფესიონალურ კავშირებს მიეცეთ მეტი თავისუფლება მოქმედებისათვის.**

ამას თხოულობენ თვით ხაზეინები, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლა შეადგენს პირდაპირ და მთავარ მიზანს პროფ. კავშირებისას. ისინი (ხაზეინები) ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, რასაკვირველია, მუშების ინტერესებისათვის კი არ იცხელებენ თავს, მათ მათივე ხაზეინური ინტერესები უკარნახებენ ითხოვონ თავისუფლება მუშათა პროფ. კავშირების მოქმედებისათვის; აკი ისინი თვითონვე აღიარებენ, რომ მათ გაფიცვა იმდენ ზარალს არ აყენებს, რამდენსაც მისი **უორგანიზაციოთ და უწესრიგო წარმოება**; ხოლო ამის თავიდან აშორება კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროფ. კავშირებს თავისუფლათ მოქმედება შეეძლებათ. მაგრამ აქ კაპიტალისტების ინტერესებს წინ ეღობება ბიუროკრატიის ინტერესები, რომელსაც პროფ. კავშირების თავისუფალი მოქმედება, როგორც ყოველგვარი სხვა თავისუფლება, ბუნებრივი აუცილებლობით ძირს უთხრის. პროფ. კავშირებით, ამბობს ბიუროკრატია, პოლიტიკის და კრამოლის ბუდეთ ხდებაო, და რადგან დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში, თვითმპყრობელობის მძიმე უღელ ქვეშ, სხვაფრივ არც შეიძლება მოხდეს, ამის გამო ბიუროკრატია ცდილობს არა თუ შეზღუდოს კავშირების მოქმედების თავისუფლება, არამედ, თუ კი მოხერხდება, სულაც მოსპოს თვით კავშირები. ამნაირათ, ამ მხრივაც დღევანდელი ბიუროკრატიული რეჟიმი ვერ შეეგუება განვითარებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებას და ეს უკანასკნელიც დიდხანს ვერ აიტანს ბიუროკრატიულ რეჟიმს, და თუ დღეს თხოვნებით და შუამდგომლობით ცდილობს მთავრობას თავისი სურვილი აასრულებინოს, ის მალე დარწმუნდება, რომ მთავრობა ნებაყოფლობით არ დათანხმდება ამაზე, რადგან ის არ მოისურვებს თავისი ხელით თავის საკლავ დანის გალესვას. მაშინ ბურჟუაზია ალბათ თანდათან იმ აზრს დაადგება, რომ მის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ უფრო მძლავრი საშუალებაა საჭირო, ვინემ შუამდგომლობა და ხვეწნა-მუდარა.

სი ამხანაგები არ ეყვენ პროვოკაციას, ვითომ „ინოროდცები“ „ღუპავენ“ საქმეს, თორემ ხალხი კმაყოფილიაო, მიუთითა უკვე არჩეულ რუს რწმუნებულზე ს. დ., რომელიც დაანახვებს მთავრობას და ხალხს, რომ რუსებშიაც უკმაყოფილება დღევანდელ აუტანელ წესწყობილებით და ამიტომ ისინიც მოითხოვენ მის შეცვლას და ადამიანურ ცხოვრებას. შემდეგ მუშებს მოუწოდა თვალყური ედევნებიათ დუმას ყოველივე ნაბიჯისთვის და ამასთანავე ს. დ. მოქმედებისთვის დუმაში, რათა კარგათ გამოერკვიათ ვის ინტერესებს იცავს ეს პარტია და რომელ კლასს ემსახურება ის, რასაც (სიტყვას) კრება ალტაცებით და ტაშის კვრით მიეგება. შემდეგ კრება დაიშალა.

დევი

— იარალოვის, სარაჯევის, საფაროვის, ენფიანჯიანცის, ვეტცელის და სხვ. ქარხანა-ფაბრიკებში იქმნა არჩეული თითო რწმუნებული; აქაც ყველა ს.-დემოკრატები: არჩევნებში მეტოქე პარტიები არ ყოფილა. ცოტა მოზრდილ პარტიას შეადგენენ „დაშნაკცაკანები“, მაგრამ ისინი, როგორც ვიცით, ბოიკოტისტურ ტაქტიკას აწარმოებენ.

მუშა არჩილა

P. S. თფ. მთავარ სახელოსნოში მომუშავე „პატრიოტები“, როგორც გავიგეთ, აპირებენ არჩევნების განსაჩივრებას, რადგან თითო რწმუნებულს ნახევარზე ნაკლები ხმა მიუღია (2700 მეტი ხმიდან—1080 ხმა), რის მიზეზიც არის, საერთოთ, „პატრიოტების“ და ზოგიერთ ამხანაგების მოუსვლელობა.

მ. ა.

## საარჩევნო კამპანია.

**არჩევნები პეტერბურგის გუბერნიაში.** 9 სექტემბერს პეტერბურგის მაზრის ფაბრიკა-ზავოდების მუშათა კურიიში არჩევნებს უფრო ნაკლები სიცოცხლე ეტყობოდა, ვინემ წინათ. 57 ფაბრიკა-ზავოდიდან 28-ში არჩევნები სულ არ მომხდარა ამომრჩეველთა მოუსვლელობის გამო, ხოლო 29 ფაბრიკა-ზავოდში არჩეულ იქნა 41 რწმუნებული, მათ შორის 16 სოც.-დემ., 22 უპარტიო მემარცხენე და 3 უპარტიო. არჩევნებზე გამოცხადდა სულ მუშათა საერთო რიცხვის 30—40 პროცენტი.

**გლეხთა კურიაში** პეტერბურგის, ნოვოლადოგის, პეტერგოფის, ცარსკო-სელსკის და შლისელბურგის მაზრებში არჩეულ იქნა 144 რწმუნებული, მათ შორის 1 შრომის ჯგუფელია, 26 ზომიერებს უწოდებენ თავის თავს, 24—უპარტიოებს, 73—მემარცხენეებს.

**უძრავ ქონების** (გარდა მიწისა) **მფლობელთა კურიაში** არჩევნები მოხდა მხოლოდ ლუგას, ნოვოლადოგის, პეტერგოფის და ცარსკოსელსკის მაზრებში, აირჩიეს 19 რწმუნებული; ამათგან 5 კადეტია, 4 თავის თავს მემარჯვენეს უწოდებს, 3—უპარტიოს, 3—ზომიერს; 4 რწმუნებული გამოურკვეველია, ესენი თუმცა ოქტომბრისტების სიაში არიან ჩაწერილი, მაგრამ თვითონ თავის თავს პროგრესისტებს უწოდებენ. ამ მაზრებში საარჩევნო კრებების ხუთი განყოფილება აღარ შესდგა. ხოლო ვდოვის, შლისელბურგის და იამბურგის მაზრებში კი კრებები სულაც აღარ შემდგარა.

**წვრილ მემამულეთა კურიაში**, რომლების ქონებაც 3 ათას მანეთზე ნაკლებ დაფასებულია, პეტერბურგის მაზრაში არჩევნებზე გამოცხადდა მხოლოდ 64 ამომრჩეველი 1,629-იდან, ე. ი. 4 პროც. ამათ მოუწია მხოლოდ 7 რწმუნებულის არჩევა, შვიდივე კადეტი აღმოჩნდა. კენჭი იყარეს აგრეთვე ოქტომბრისტების და „მოკავშირეთა“ კანდიდატებმა. ხმების ყველაზე მეტი რიცხვი, რომელიც მიიღო კადეტმა, უდრიდა 45-ს. ოქტომბრისტთა კანდიდატთაგანის მიერ მიღებულ ხმების ასულ დიდი რიცხვი იყო 21, „მოკავშირეთა“ კანდიდატთაგანის სულ დიდი რიცხვი—13.

**3 ათას მანეთზე მეტათ ღირებულ მიწის მფლობელთა კურიაში** პეტერბურგის მაზრაში არჩევნებზე გამოცხადდა 107 კაცი; ამათგან 73 პროგრესიულ პარტიებს ეკუთვნოდენ, 49 მონარქისტებს და ოქტომბრისტებს. აირჩიეს 63 რწმუნებული ყველანი პროგრესისტები.

**სამღვდელოების კურიაში** პეტერბურგის მაზრაში არჩევნებზე გამოცხადდა მხოლოდ 1 კაცი—დეკანოზი, რომელიც გუბერნატორს კრების თავმჯდომარეთ დაენიშნა. ამნაირათ არჩევნები აღარ მოხდა.

**ელეცის მაზრაში** გლეხთა კურიაში არჩეულ იქნა 36 რწმუნებული—თითქმის სულ პროგრესისტები და უპარტიონი. კაზაცკის ვოლოსტში ამომრჩევლები არ გამოცხადდენ და ამისათვის დაჯარიმებელ იქნენ თითო მანეთით (!).

— სარატოვის გუბერნიის შვიდ მაზრაში სრულიად არ შესდგა არჩევნები $1/_5$ ცენზზე ნაკლების მქონე წვრილ მემამულეთა კურიაში, ერთში კი აურჩევიათ მხოლოდ ერთი რწმუნებული—ისიც მემარჯვენე.

— საეროზო უფროსებს დაეგზავნათ ცირკულარი, რომლითაც ებრძანათ—სასტიკათ თვალყური ადევნეთ, რომ არჩევნების მოსახდენათ მოწვეულ სასოფლო ყრილობებზე ლაპარაკი არ ცდილობდეს კანონით დადგენილ ფარგლებს და არამც და არამც ნება არ მისცენ ილაპარაკონ არჩეულ წევრთათვის განაჩენების ან ნაკაზების შედგენის შესახებ. ეს უკანასკნელი ბრძანება შეეხება იმ ყრილობებსაც, რომლებიც გაიმართება დუმის გახსნის შემდეგ.

— შინაგან საქმეთა მინისტრს ყოველ დღე დეპეშები მისდის გუბერნიების უფროსებისაგან და გრადონაჩალნიკებისაგან არჩევნების მსვლელობის შესახებ. გუბერნატორების დეპეშები თავისი ერთ გულებით აჭარბებს სააგენტოს დეპეშებსაც კი. მაგალ. ბესარაბიის გუბერნატორი ზოგიერთ მაზრებში მომხდარ არჩევნების შესახებ ატყობინებს სამინისტროს, რომ წვრილ მემამულეთა კურიაში არჩეული რწმუნებულები ყველანი „დარწმუნებული მონარქისტები“ არიანო, მაშინ როდესაც სააგენტო არჩეულთა შორის ზოგს ოქტომბრისტებს უწოდებს, ზოგს კადეტებს და ზოგს კი მემარცხენეებსაც კი.

### არჩევნები გურიაში.

საგანგებო კომისია საარჩევნო კამპანიისათვის, ოზურგეთის სამაზრო სამართველოს მიერ ზუგდიდის მაზრის მარშლის თავად ა—ძეს მეთაურობით არჩეული, როგორც „ჩვენი გზის“ ხუთშაბათის ნომერში ვწერდი, დანიშნულში ჩამოვიდა, დანიშნულის საპოლიციო უბნის ყველა საზოგადოებიდან გლეხ-კაცობის, სამღვდელოებითურთ სამაზრო ამომრჩევლების წვრილ და მსხვილ მიწათ-მფლობელების ასარჩევათ (ეს არჩევნები წინათ დ. ჩოხატაურში ხდებოდა). განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია საზოგადოთ გურიის არჩევნები. თვით ჩვენები იჭვის თვალით უყურებდენ მომავალ არჩევნების შედეგებს, რადგანაც 3 ივნისის უქაზმა საარჩევნო ბრძოლის უფლება მისცა თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას, როგორც წოდებს, და იმათვე მეორე ხმა, როგორც მემამულეებს. გარდა ამისა, გასულ საარჩევნო კამპანიაში სამაზრო არჩევნებზე თითო რწმუნებულს აგზავნიდენ 15 მანეთის სახაზინო გადასახადის კვალობაზე. წელს კი ერთი კაცი უნდა წავიდეს ოცდა ათ მანეთზე! როგორც ხედავთ აქ მთელ 50 პროცენტს ერთბაშათ წართმეული აქვს ხმა. გარდა ამ ორ დაბრკოლებებისა, წელს ამას მიუმატეთ მოქალაქეთა არჩევნებში თავისუფლების უქონლობა. გასულ არჩევნებში თუ თავისუფლათ შეეძლო სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს თავიანთ სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმის გამოქვეყნება და მის სასარგებლოთ აგიტაციის გაწევა, წელს ნურას უკაცრავათ. სიტყვას „სოციალდემოკრატიას“ ვერც კი გაბედავდი, ან სულ ვინ მიგიშვებდა ამომრჩევლებთან თუ ოცდა-ხუთი წლის არ ხარ და სახაზინო გადასახადს არ იხდი, თუ არ ხარ აზნაურ-თავადი, ან ხუცესი. ამას მიუმატეთ კიდევ ის დაბრკოლება, რომ ყველა „არასაიმედო პირები“, რომელნიც მთავრობამ კრამოლნიკებათ აღიარა, ან ისინი, რომელნიც თავის სიცოცხლეში რაიმეში შენიშნული ყოფილან, ვინმე გადაუმეტებიათ—ყველანი საარჩევნო დარბაზიდან გაძევებულ იქნენ, წარმოიდგინეთ თქვენ, არც პრესის წარმომადგენელი დაუშვეს კრებაზე. ზალის კარებს იცავდა საერობო დარაჯთა რაზმი და სხდომა კარ-დაკეტილ დარბაზში სწარმოებდა. ამდენ უხერხულობის შემდეგ პარტია მოელოდა სრულ დამარცხებას, მარა საქმე სხვანაირათ წავიდა. საღამოს ოთხი საათი იქნებოდა, ზალაში ერთი აღიაქოთი ატყდა. კანდიდატებს ასახელებდენ. როგორც მოვიხსენიეთ ამ უბნის არჩევნებზე იყვნენ წვრილი და მსხვილი მიწათმფლობელები, თავად-აზნაურები და ხუცები; ამათში დატრიალდა ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც კინაღამ ხელ-ჩართულ ომათ არ გადაიქცა. საქმე აი რაში იყო: საუბნოდან სამაზრო არჩევნებისათვის უნდა არჩეულიყო ხუთმეტი კაცი; კანდიდატები დაასახელეს თუ არა, დარბაზის მარჯვენა მხრიდან ატყდა ერთი ღრიალი: „იქ ყველა დანიშნულებიაო“! ეს გახლდათ, მკითხველო, ჭკუაში ჩიბათის წარჩინებულ აზნაურებისა, რომელნიც ჭირის ოფლში იწურებოდენ, რათა „ჭეშმარიტი ქართველნი“ გაეყვანათ კანდიდატებათ. ამ აღიაქოთის შემდეგ „ჭეშმარიტ ქართველების“ მოთხოვნით თუთხმეტ წამოყენებულ კანდიდატებს მიუმატეს კიდევ ორი მათი კანდიდატი, მარა ყველანი გაიშავეს. გაიმარჯვა ს. დ. მით, რომ ამორჩეულები, თითქმის თუთხმეტივე, ს. დ-ის პარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს მისცემენ ხმას. ამგვარათ, ვერ გასჭრა ვერავითარმა დაბრკოლებამ.

ახალი.

P. S. საღამოს ცხრა საათი იყო, როცა კაცი მოვიდა გურიანთის საპოლიციო ნაწილიდან. სამაზრო არჩევნები იქაც დამთავრებულა სოციალდემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვებით.

ახალი

## პროვინცია

**ს. დიდი-ჯიხაიში** (ქუთ. მაზრა). აქ დააპატიმრეს და ქუთაისში გაგზავნეს ამ სოფლის მცხოვრებნი ქალები: ლ. ბიბილეიშვილი, ივანიაძე და მათთან ერთათ ვასილ ლეჟავაც. მათ აბრალებენ განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებას. დაპატიმრებულთა შორის უმწეოა ივანიაძის ოჯახის მდგომარეობა. მისი ერთათ ერთი უფროსი ძმა კარგა ხანია პოლიციის კლანჭებს გაუსხლტა და სახლს ვერ ეკარება. სახლში რჩება ათი წლის ბავშვი და მხოლოთ დედა, რომელიც კარგა ხანია ლოგინათ ჩავარდნილია და არავითარი ხელ-საქმე მას არ შეუძლია. საზოგადოთ დიდ-ჯიხაიში ამ ბოლო ხანებში დიდ გასაჭირს განიცდის. ამ უკანასკნელ 3—4 თვის განმავლობაში ჯიხაიშიდან გადაასახლეს 9 კაცი. დაპატიმრებულნი არიან კიდევ რამოდენიმე და ალბათ, იმათაც ასეთი სასჯელი მოელის. ჯიხაიშს ჩაუყენეს ურიადნიკ სტრაჟნიკები, რომელთა შენახვა ხალხს არა ნაკლებ 2000 მან. დაუჯდება წლიურათ. საზოგადოებას დააბრალეს აგრეთვე კულაშელ ებრაელების გაძარცვა, რისთვისაც 2600 მ. მიუსაჯეს ჯარიმა და კიდევაც გადაახდევინეს. თუმცა ბოლოს აღმოჩნდა, რომ მძარცველები სხვა საზოგადოებიდან ყოფილა და ამიტომ ეს ფული ჯიხაიშს არ უნდა გადაეხადა, მარა 2600 მ. ჯიხაიშზე კვლავ ჯარიმათ რჩება რაღაც „სხვა და სხვა“ მიზეზების გამო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სოფელში და, საზოგადოთ, მთელ გუბერნიაშიაც, მოსავალი ისეთი ნაკლებია, რომ მომავალ წელში ხალხს უცილებლათ შიმშილობა მოელის.

**ს. ბასილეთი.** ბასილეთში დღე ისე არ გავა რომ ვინმე არ დააპატიმრონ. ამას ძალიან უწყობს ხელ საქაური ჯაშუშები, რომლებიც ამ ხანათ გამრავლდენ. ამას წინათ თავს დაესხენ ლაზარე ნაცვლაძეს, გაჩხრიკეს და შემდეგ დაატყვევეს მისი უფროსი ქალი მარო და გაგზავნეს ოზურგეთში, სადაც გამოუცხადეს, რომ ის გადასახლებულია ასტრახანის გუბერნიაში. როგორც ამბობენ, მასთან კიდევ ყოფილა გაცემული რამოდენიმე კაცი.

კალე.

**სოფ. გარდ-ატენი** (გორის მაზრა). მიმდინარე წელს იანვარში სამი დღის განმავლობაში აქაურ გლეხებს გადაახდევინეს 1906 წ. გადასახადი, რაღაც აცეკის ფული ცხრა თუმანი. სოფელი კიდევ სულით არ დაცემული. ამ წლის გადასახადებში (კულუხებში) ჯერაც არ მორიგებულა აქაური მებატონეები და გლეხები, თუმცა ძლიერ იმუქრებიან მემამულეები.

ჩვენ სულიერ მამებსაც არ უნდათ ჩამორჩენ მემამულეებს, სამი წლის დრამას თხოულობენ და ამბობენ, როგორც განდათ ილონეთ და ჩვენი მოგვეცითო.

მოსავალი აქეთ წელს ძალიან ნაკლები იყო გვალვის გამო, თითქმის არც ღარიბ გლეხს და არც მდიდარს არ მოსვლია წლის სარჩო.

სოფ. ატენში და გარდ-ატენში ერთათმოხდა გლეხთა კურიაში ათის თავების არჩევნები. ერთი რეაქციონერი ურჩევდა ხალხს, იმისთანები ამოირჩიეთ, რომ თქვენი ინტერესების დამცველი იქნესო.

გარდატენელი დავითაშვილი.

## ბათუმის ქრონიკა

ოთხშაბათს, 12 ენკენისთვეს, ბათუმში, რკინის გზის სადგურზე დააპატიმრეს, სასტუმრო „ორიანტალის“ მოსამსახურე ვან ბარჯანზიანი. დაპატიმრებული გაძლიერებული დაცვით მიყავდით. როგორც ამბობენ, ბარჯანზიანის დაპატიმრებას დამოკიდებულება აქვს ოზურგეთის მაზრის უფროსის ერმოლოვის მოკვლის განზრახვასთან.

— ამ დღესვე გაჩხრიკეს სასტუმრო „ორიანტალი“, მაგრამ საეჭვო არაფერი აღმოუჩენიათ.

— ქალაქის სამმართველოში სათათბიროს საარჩევნო სიები უკვე მზათ არის. სიაში ბევრია გამორჩენილნი ისეთები, რომელთაც საარჩევნო ხმა აქვთ და დაგვიანების მიზეზის გამო ხმის უფლება ეკარგებათ. საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ არჩევნებისადმი გულგრილობა აქაც ემჩნევა ხალხს.

— ბათუმის პოლიცმეისტერი თითქმის ყოველ დღე გზავნის ბათუმიდან უმუშევართა და უპასპორტო ხალხს, მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა, განუწყვეტლივ ჩამოდის აქ აუარებელი უმუშევრათ დარჩენილი ხალხი—რკინის გზით და ზღვითაც.

— ოთხშაბათს, 12 სექტემბერს, აქ, შხიანცის ბოჭკის ქარხნის მმართველი სუმბათა დღის 12 საათზე, სასიკვდილოთ დასჭრა ამავე ქარხნის სტოროჟმა. სტოროჟს ფეხდაფეხ დაედევნა მესამე უბნის ბოქაული ალექსეევი და სროლა აუტეხა. მკვლელი მიიმალა. დაჭრილი ქალაქის საავათმყოფოში წაასვენეს. ამავე დღეს ვიღაც უცნობმა სროლა აუტეხა ბოქაულ ალექსეევს, მაგრამ ის უვნებლათ გადარჩა. მსროლელი მიიმალა.

— ამ დღეებში აქ ჩამოვა ტამანსკის პოლკის შტაბი 2 სოტნით. ადმინისტრაცია მათთვის სადგომებს ქირაობს.

### წერილი გურიიდან

წარსულ არჩევნების დროს გურიაში გლეხთა კურია ირჩევდა ორ (2) ამორჩეველს, წვრილ მემამულეთა სიეზდი 2-ს და ერთს მოქალაქენი. სამ ივნისის კანონმა ყოველივე უკუღმა შეატრიალა და ახლა გლეხთა კურია ირჩევს ერთს, მემამულეთა კურია 3-ს და ქ. ოზურგეთი ისევ ერთ ამორჩეველს.

8 სექტემბერს, დასრულდა მთელს მაზრაში რწმუნებულების არჩევა. გლეხთა კურიამ აირჩია სამაზრო სიეზდზე გასაგზავნათ 52 რწმუნებული. 10 სექტ. დაიბარეს ოზურგეთის განყოფილების წვრილ მემამულეთა კურია არჩევნებისათვის. იმ გლეხებს რომლებსაც „ოკლადნი ლისტი“ ქონდათ და შეტანილი იყვენ წვრილ მემამულეთა სიაში, ხმები არ მისცეს, მხოლოდ გამოუცხადეს საერთოდ გლეხებს არ ეძლევათ უფლება წვრილ მემამულეთა კურიაში მიიღონ მონაწილეობა, აქ დღეს დაბარებულია სასულიერო წოდება და თავად-აზნაურობა და ამათ აქვთ ხმა, გლეხებს კი თუნდაც ქონდეს ბევრი მიწა მათ მაინც არ ეძლევათ ხმა გარდა გლეხთა კურიისაო. ამის შესახებ გლეხებმა პროტესტი გამოაცხადეს და მოშორდენ. სასულიერო ნაწილმა და თავად-აზნაურებმა აირჩია 10 რწმუნებული. ესენი სხვა განყოფილების რწმუნებულებს შეუერთდებიან და მსხვილ მემამულებთან ერთათ აირჩევენ ამორჩეველს. არჩევნები დანიშნულია 22 ენკენისთვეს.—დაჭერა გურიაში გახშირდა, ისე რომ ოზურგეთის ადმინისტრაციამ ახლა მესამე შენობა დაიქირავა. ტუსაღთა რიცხვი 200-მდის ადის, ამ რამოდენიმე დღის წინეთ დაიჭირეს გ. გაგუა, კოს. ლესელიძე, ს. ანთაძე და სხვები. 9 სექტემბერს ოზურგეთში დაიჭირეს ერთი კაცი.

ს. ბაილეთში გარდაიცვალა შ. კომახიძე, 9 სექტემბერს ღამე ლიხაურში ვიღაცეებმა მსუბუქათ დასჭრეს გრ. აბაშიძე. როგორც ამბობენ შურისძიებით.

—10 სექტემბერს, ასკანაში სტრაჟნიკ ... ნინიძეს თოფი წაართვეს. 11 სექტემბერს, წაღებული თოფი ასკანის ... სახლისმა მიიტანა რაზმის უფროსთან, მაგრამ მიუხედავათ ამისა ოზურგეთიდან გაიგზავნა დამსჯელი რაზმი ასკანაში.

ჯარის უფროსმა დაათვალიერა ის სახლები, რომლებიც დაიქირავეს ჯარისათვის. როგორც ამბობენ, დაახლოვებით ამ ათ დღეში ესტუმრება გურიას პლასტუნების რაზმი. მიქ.-გაბრ. და ხვარბეთში ბრძანება მოუვიდათ, რომ ჯარის ბინები და ცხენის ყაზარმების შოვნას შეუდექითო.

აგერ რამოდენიმე კვირაა მას შემდეგ, რაც ს. შემოქმედში დაიჭირეს 27 კაცი. ახლა როგორც ამბობენ, ყველანი გადაუსახლებიათ სამხედრო წესების მოხსნამდე. ამას წინეთ დაჭერილი ცსოფ ზოიძე გადაასახლეს ვიატკის გუბერნიაში, (ეს ზოიძე 1902 წელში, როდესაც გურიაში გაძლიერებული დაცვის წესები იყო შემოღებული, გენერ.-მაიორმა სმაგინმა გადაასახლა ტობოლის გუბერნიაში ოთხი წლის ვადით. გასულ წელს (1906) მოვიდა თავისუფალი, მასთან დაავათმყოფებული, 70 წლის კაცია და ახლა ხელმეორეთ გაამგზავრეს ცივ ქვეყნებისაკენ).

ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, ოზურგეთის სატუსაღოდან გაგზავნეს 32 ტუსაღი. მათ შორის 28 პოლიტიკური გადასახლებულია. ყველანი დროებით ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეში გადაიყვანეს. როგორც გავიგეთ ამ მოკლე ხანში კიდევ წავა „ეტაპი“, რადგანაც ტუსაღთა რიცხვი მატულობს და ადგილობრივ ციხეში ტევა აღარ არის.

ჰერკულესი.

## რუსეთის ამბები

**მამულების დაზღვევა „პოგრომებისაგან“.** როგორც ისმის, მთავრობას არ შეუწყნარებია მიწის მესაკუთრეთა კავშირის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქნას მამულების დაზღვევა პოგრომებისაგან მთავრობის ხარჯზე.

**რკინის გზის მოსამსახურეთა ს.-დ. ორგანიზაციების** კონფერენციის საქმე, რომლის თაობაზედაც სამართალში მიცემული იყვნენ რიაზან-ურალის რკ. გზის მოსამსახურენი, გაირჩა სარატოვში 8 სექტ. ბრალდებულ 19 კაცს მიესაჯა უფლებათა ჩამორთმევა და გადასახლება.

**გაზეთის ახალი ჯურის დაჯარიმება.** მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს, რომელმაც პირველმა შემოიღო გაზეთების დაჯარიმება, პირველსავე მოუგონია ისეთი დაჯარიმება, რომელსაც თავის-თავათ უნდა შედეგათ მოუყვეს გაზეთის მთლათ დაკეტვა. მას გაზეთი „სტოლიჩნოე უტრო“ დაუჯარიმებია სამი ათასი მანეთით და ნება არ მიუცია რედ.-გამ. ჯარიმის მაგივრათ დატუსაღებით მოიხადოს სასჯელი.

**22 კაცის სიკვდილით დასჯის საქმე.** რიგის გენ.-გუბერნატორმა დაამტკიცა სამხედრო სასამართლოს განაჩენი რიგის მაზრაში რესპუბლიკის გამოცხადების საქმის შესახებ, რომლის ძალითაც 22 კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს; ამასთან 13 მათგანს სიკვდილით დასჯა უვადო კატორგათ შეეცვალა.

— ლოძის მექარხნეებს პეტერბურგში დეპუტაცია გაუგზავნიათ შუამდგომლობის აღსაძვრელათ, რომ ნება მიეცეთ მუშათა თავდასხმისაგან თავის დასაცველათ ორგანიზაცია მოაწყონ.

— ქ. ქერჩში მეთევზე მუშათა დიდი გაფიცვაა. ყველა გაფიცული მეთევზეები ამ დღეებში გაუჩხრეკიათ და 40 მათგანი დაუტუსაღებიათ. მდგომარეობა გამწვავებულია.

— პეტერბურგის გრადონაჩალნიკის განკარგულებით, 5 და 6 სექტემბერს საგრადონაჩალნიკოს სადგომში თავი მოუყარეს საქარხნო პოლიციის ზედამხედველებს და გოროდოვოებს. პოლკოვნიკმა გალლე განუმარტა მათ, რომ საქარხნო პოლიციის მოხელეებმა სამსახური უნდა შეასრულონ მხოლოდ იმ ქარხნებ-ზავოდებში, რომლებშიაც დანიშნული არიან. მუშებს ისინი უნდა ექცეოდენ სრული ყურადღებით და კეთილ-მოსურნეობით, ოქმებს უბედურ შემთხვევების შესახებ, სამართლის დასაცველათ, სრული მიუდგომლობით უნდა ადგენდენ, მუშებს სიტყვითაც და საქმითაც დახმარებას უნდა უწევდენ და ამავე დროს ფხიზლათ ადევნებდენ თვალყურს, რომ მუშებში ვერ შეატანონ იმ ელემენტებმა, რომლებიც აღელვებენ მუშებს და გადატაკების გზაზე ერეკებიან.

### სოფლათ.

— ტულის გუბერნიაში გრაფ ტოლსტოის და გრაფინია გრაბეს მამულებში ცეცხლს გაუნადგურებია მრავალი პური და სამეურნეო იარაღები.

— ვორონეჟის გუბერნიაში დასწვეს დიდძალი ტყე.

— სარატოვის გუბერნიის ერობის ცნობებით, გასულ 8 თვის განმავლობაში, გუბერნიაში 2 ათასი „პაყარი“ მომხდარა, აქედან 70 პროცენტი განზრახ მოუხდენიათ.

— მოსკოვის მაზრის სოფ. გრავორნოვოში დღეობა დღეს შეზარხოშებული გლეხები მივარდნენ ურიადნიკს, წააქციეს და დაუწყეს ცემა. ერთმა სტრაჟნიკთაგანმა ჰაერში რევოლვერი გაისროლა. ხალხი მივარდა სტრაჟნიკებს, მაგრამ ამათ თავს უშველეს გაქცევით. ურიადნიკი ისე დაბეგვეს, რომ ძლივს გადარჩა ცოცხალი.

— ზადონსკის მაზრაში თვის მამულში მოკლეს მემამულეები აქსენოვი და ისევი. მკვლელები ვერ აღმოაჩინეს.

— კამენეც-პოდოლსკის მაზრაში ს. რაკუდოკოში ცეცხლი წაუკიდეს ერთ მამულს. გლეხები ნებას არ აძლევდნენ ჩაექროთ ცეცხლი, და სცემეს პრისტავს, ურიადნიკს და სტრაჟნიკებს. მოვიდა ისპრავნიკი ასეულ კაზაკებით.

— ამ ბოლო დროს ალექსანდრიის მაზრაში ხშირათ უკიდებენ ცეცხლს პომეშჩიკების მამულებს. მემამულეს ს. ნიკორის გლეხებმა დაუწვეს მთელი საქონლის საკვები და პურის ნაწილი. იმავე ნიკორის დიდ აგურხანას პატრონს მუქარის წერილი მიუვიდა. დიდი ცეცხლი გაჩნდა მემამულეების სტესლეცკის და ნავროცკის და აგრეთვე შეძლებულ გლეხების მამულებში.

— ელისავეტგრადის მაზრაში ცეცხლის წაკიდება სულ უფრო ძლიერდება. ამ ბოლო დღეებში რამდენიმე მემამულეს და მდიდარ გლეხებს წაუკიდეს ცეცხლი. განადგურებულ იქნა მრავალი პური და საქონლის საკვები. ზარალი ათას მანეთობითაა. ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუგეს სადგ. გოლტაზე რკინის გზის სახელოსნოები. ზარალი 10,000 მ.

— ხერსონის გუბ. სოფ. ბოგოიავლენსკში პრისტავს სტრაჟნიკების თანხლებით მრავალი გლეხი გაუჩხრეკია და თუმცა ვერაფერი აღმოუჩენია, მაინც დაუჭერია მეორე დუმის ვიბორშჩიკი და რამდენიმე პროგრესისტი გლეხი.

### ფინლიანდია.

**კოალიცია ს.-დ.-ტიის წინააღმდეგ.** ფინლიანდიის პოლიტიკურ წრეებში ხმები დადის, რომ იქ ამ დღეებში მოხდება სტაროფინთა, მლადოფინთა და შვედომანთა პარტიების გამოჩენილ ხელმძღვანელთა თათბირი იმაზე მოსალაპარაკებლათ, რომ შედგენილ იქნას კოალიციური (შეერთებული) მთავრობა ფინლიანდიაში. პარტიებს შორის ასეთ შეერთებას მიზნათ აქვს ერთათ ბრძოლა სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ, რომლის გავლენა სახელმწიფო საქმეებზე სულ უფრო და უფრო ფართოვდება.

— რადგან ფინლიანდიის მთავრობას საიდანღაც ყური მოუკრავს, ვითომ რუს. ს.-დ. მ. პარტია ამ მოკლე ხანში რაღაც სიეზდის გამართვას აპირებდეს ფინლიანდიაში,—ამის გამო ყველა საგუბერნიო გამგეობებს, გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, მოწერილობა დაუგზავნია ყველა მაგისტრატებისა და საპოლიციო სამმართველოებისათვის—სასტიკათ ადევნეთ თვალყური მოსულ რუსებს და არაფრის გულისათვის კრებების გამართვის ნება არ მისცეთო.

— სეიმის ფინანსიურმა კომისიამ განიხილა კითხვა სახალხო მასწავლებელთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. ცხარე კამათი გაიმართა. სოციალდემოკრატები ჯამაგირის მომატებას ემხრობოდნენ.

— სეიმის კომისიამ მუშათა კითხვის შესახებ განიხილა კანონ-პროექტი, რომელიც შეეხება ურთიერთობას მუშათა და ხაზეინთა შორის. კონფლიქტების გადასაწყვეტათ განზრახულია დაარსდეს სხვადასხვა პროფესიის, მაგრამ ერთ და იმავე სამრეწველო დაწესებულებაში მომუშავე მუშათა რწმუნებულების ბიურო. კანონ-პროექტის ერთ პარაგრაფში შეტანილ იქნა შემდეგი შესწორება: თუ კონფლიქტი მუშათა და ხაზეინებს შორის ისეთ სამრეწვ. დაწესებულებაში მოხდა, სადაც ჯერ კიდევ არ დაუარსებიათ რწმუნებულების ბიურო და დავის გადაწყვეტა არც საქარხნო ინსპექტორს შეუძლია, ამ შემთხვევაში საქმე უნდა განიხილოს ერთ-ერთმა უახლოესმა რწმუნებულთა ბიურომ, თუ, რასაკვირველია, მოდავე მხარეები სხვა გზას ვერ გამონახავენ.

— სენატის პროკურორმა უყურადღებოთ დატოვა ჰელსინგფორსის მუშათა კავშირის საჩივარი ნიულანდიის გუბერნატორის განკარგულებაზე, რომლის ძალითაც დაკეტილ იქნა მუშათა კავშირის რუსული განყოფილება.

## წერილი ქ. ნოლინსკიდან
(ვიატკის გუბერნია).

შავრაზმელთა ორგანიზაციების მოწყობას, რომელნიც შესაფერ აგიტაციას ეწევიან მასსაში განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და სხვა, დიდათ უწყობს ხელს აქაური ადმინისტრაცია. მასთან არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში რეაქციას არა ნაკლებ დახმარებას უწევენ ამ საქმეში ზოგიერთნი კავკასიიდან ქ. ნოლინსკში გადმოსახლებულები. როგორც ვიცით, ამ ბოლო დროს ცივ ქვეყნებში გადასახლებამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. აქაც ადმინისტრაცია, რასაკვირველია თავის პოლიტიკას ადგია. იგი ასახლებს პოლიტიკურებთან ერთათ პოლიტიკური სახელით მონათლულ ქურდ-შანტაჟისტებს. ასეთების მოქმედება დიდ დახმარებას უწევს ადმინისტრაციას. მაგალითისათვის დავასახელებ ამ ზაფხულში გადმოსახლებულთა ერთ ნაწილს. გარდა იმისა, რომ რამოდენიმე ჩვენგანს უკანასკნელი გროში ამოაცალეს ჯიბიდან მგზავრობის დროს, აქაც, მოსვლის შემდეგ, ასეთი პირები განაგრძობენ თავიანთ სამარცხვინო მოქმედებას. როგორც ადრე ჩამოსულებმა გადმოგვცეს, წინეთ მცხოვრებნი იჭვის თვალით გვიყურებდნენ, მაგრამ რამოდენიმე მოწინავე ამხანაგების საშვალებით გაიგეს, თუ რისთვის ვიყავით გადმოსახლებული, რის შემდეგ დიდ ნდობას და დახმარებას გვიწევენ, ასე გასინჯეთ, პატარა ბავშვებსაც კი ურჩევდნენ და არიგებდნენ მშობლები, რომ ხშირათ გადმოსახლებულთან ელაპარაკნათ და საქმე დაეჭირათ. მაგრამ ზოგიერთების მოქმედებამ ძალიან დააფიქრა მცხოვრებლები. ქალ. ნოლინსკში ერთ მშვენიერ საღამოს მოიპარეს 6 იხვი და დაკლეს, ორი დღის შემდეგ შუადღისას ქუჩაში მიმავალ ბანკის ბუხგალტერს ამოაცალეს ვერცხლის საათი, რომელმაც პოლიციის დახმარებით დაიჭირა ჯიბგირი, რომელიც დღესაც ციხეში ზის გასტეხეს სოფ. სრეტენსკში ეკლესია, გაქურდეს მაღაზია და ყოველ-დღე თითქმის მუშტი-კრივი ხომ ჩვეულებრივ მოვლენათ გახადეს ნოლინსკის ქუჩებზე. ყველა ამას ხედავენ მცხოვრებლები და იძახიან („Вотъ ваши политические“-ო) ამას ადმინისტრაციის აგენტები იარაღათ იყენებს და ცხარე აგიტაციას ეწევიან მცხოვრებლებში, ვერ ხედავთ, ვინ ყოფილა პოლიტიკურებიო? ჯიბგირები, მცარცველები, ყაჩაღები და სხვა. ამიტომ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი იძულებული გახდა გამოეცა ფურცლები, რომლითაც წინადადებას აძლევდა ამ ვაჟ-ბატონებს შეეწყვიტათ თავიანთი სამარცხვინო მოქმედება და აცნობდა საზოგადოებას, რომ ასეთ პირებს პოლიტიკურებთან არაფერი საერთო არა აქვთო და სხვა. მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც თავისას განაგრძობენ მხოლოდ ფურცლების და ამხანაგების საშვალებით უკვე გაიგეს მცხოვრებლებმა თუ ვინ ყოფილა პოლიტიკური გადმოსახლებული და ვინ არა.

ქ. ნოლინსკში არსებობს ამ ჟამათ გადმოსახლებულ-პოლიტიკურთა კოლონია. კოლონიას აქვს იაფ-ფასიანი სასადილო. პირველათ კოლონია იყო ყველა გადმოსახლებულებისა, მაგრამ ამ ვაჟ-ბატონების გამო ვერ შესძლო სასადილომ არსებობა. ამან აიძულა ამხანაგები გამოეყოფოდნენ და ცალკე თავიანთი კოლონია დაეარსებიათ, რაც უკვე მოიყვანეს სისრულეში. ეს არ ეჭაშნიკათ ბატ. შანტაჟისტებს და უპირებდნენ სასადილოს დამტვრევას, მაგრამ მათ განზახვა ვერ მოიყვანეს სისრულეში და ვერც მოიყვანენ. მიუხედავათ ასეთი ხულიგანური ჯგუფების მოქმედებისა განმათავისუფლებელი მოძრაობა მაინც ფეხს იდგამს და ვითარდება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის.

25 აგვისტოს აქაურ საავათმყოფოში გარდაიცვალა ერთი გადმოსახლებულთაგანი ფუტკარაძე. გასვენების დროს, 27 აგვისტოს გარდა გადმოსახლებულებისა აუარებელი ხალხი მოაწყდა საავათმყოფოს, იყო გვირგვინებიც გადმოსახლებულებისაგან, თვით საავათმყოფოდან და ქალების გიმნაზიიდან.

ეითი.

## წერილი ხარბინიდან.
(მანჯურია)

25 აგვისტოს, ღამის 11 საათზე, ძმ. კობლინის სტამბაში, სადაც გაზეთის „დევიატი ვალი“ იბეჭდება, მოულოდნელათ შევიდნენ 15 კაცამდე რევოლვერებით ხელში, „რუკი ვერხ!“ დაუყვირეს სტამბაში მყოფ მომუშავეთ და გულზე რევოლვერები მიაბჯინეს, კრინტი არ დაძრათ, თუ სიკვდილი არ გინდათ, ფურცლები უნდა დაგვიბეჭდოთო“,— თქვეს და ასოთ-ამწყობებს დასაბეჭდი ფურცლები ჩამოურიგეს. ორი წამის შემდეგ ყველანი გამოირკვა, ზოგმა გაზეთის წყობა განაგრძო, ხოლო ზოგი ფურცლის ბეჭდვას შეუდგა. სტამბაში ოც კაცამდე იქნებოდა, რადგანაც მეორე დღეს გაზეთი სურათებიანი დამატებით უნდა გამოსულიყო. რედაქტორიც და სტამბის პატრონიც იქვე იყვნენ. სტამბის გარშემო მათივე ყარაულები იდგნენ, მათ შორის იყო აგრეთვე ერთი ახალგაზდა ქალი, რომელსაც რევოლვერი ეჭირა ხელში და ასოთ-ამწყობებს განკარგულებას აძლევდა, რომ ფურცელი კარგი ასოებით აეწყოთ, შემოსვლის უმალვე ტელეფონი მოხსნეს. მუშაობა გაგრძელდა პირველ საათამდის.

პროფესიონალური კავშირები სოც.-დემ. მეცადინეობით არის დაარსებული, მათი (სხვადასხვა კავშირის) რიცხვი ექვსამდეა. აქ კავშირებს ისე არ სდევნიან როგორც სხვა რუსეთის ქალაქებში. ჯერჯერობით ყველა მათი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა ხაზეინებისაგან, რა თქმა უნდა, იძულებით.

როგორც ჩანს, ჩვენ მეზობლებს—ჩინელებსაც არ სძინავს. როგორც მათი გაზეთები გადმოგვცემენ, ჩინეთში ძალიან ხშირია პოლიტიკურ ნიადაგზე ტერორი. ამ ცოტა ხანში სამი გუბერნატორი მოკლეს: ენმინი, შენსი და ილი. აქ გასაოცარიც არაფერია, თუ სახეში მივიღებთ იმ აუტანელ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება იქაური მშრომელი ხალხი. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში, როგორც სტატისტიკური ცნობებით ჩანს, ათი ათასზე მეტი სტუდენტობა დაბრუნდა ჩინეთში იაპონიაში კურს-დასრულებულნი, რომელნიც ადვილათ ვეღარ ურიგდებიან ჩინეთის რეჟიმს.

კორეაშიაც საქმე მეტათ გამწვავებულია. კორეის მკვიდრნი არ არიან კმაყოფილნი იაპონელების ბრძანებლობის, მეტადრე გაუბრაზებია ხალხი იმ ბრძანებას, სადაც ნათქვამია. თმა უნდა მოიკრიჭოთ და ევროპიული ტანსაცმელი ატაროთო. ასეთ ბრძანებას არ ემორჩილება უმეტესობა, რისთვის ჯარის უფროსის მეთაურობით შემდგარა რაზმი, რომელშიაც 3,500 შეიარაღებული კორეელია, ესენი მოულოდნელათ ეცემიან იაპონელების საყდრაულოს, სადგურებს, კლავენ მათ დარაჯებს, მოხელეებს და იკლებენ იაპონელების სახლ-კარს. მოკლეს რამოდენიმე ქალები ბავშვებით, რომლებმაც გაქცევა ვერ მოასწრეს. იაპონელებისაგან ბრძანებაა გამოსული, აღნიშნულ ვადამდის კორეელებმა ყოველივე იარაღი უნდა ჩააბარონ იაპონიის მთავრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი სასჯელი მოელით. ქალაქის ყველა კარებში იაპონელების დარაჯები დგანან, გამვლელ კორეელებს ჩხრეკენ და თუ გაქცევის განზრახვა შეამჩნიეს, კლავენ. კორეელების რაზმელების დასამორჩილებლათ იაპონიის ჯარია გამოსული. ხალხი აღელვებულია, დღითი-დღე მოელიან სისხლის ღვრას. თვითონ კორეელების ყოფილი იმპერატორი კი გადავიდა წინანდელ სასახლეში. ის დაემორჩილა ყოველივე ბრძანებას იაპონელებისას და ხალხსაც მოუწოდებს მშვიდობიანობისაკენ, მაგრამ აღელვებული კორეელები არ მშვიდდებიან და გაბრაზებულნი იაპონელებზე შურს იძიებენ.

სილია.

## უცხოეთი

**იტალია.** იტალიის გლეხ-კაცობა ძლიერ დარიბათ ცხოვრობს. ოფიციალური სტატისტიკური კომისიის გამოკვლევით, იტალიაში გლეხების დიდი უმეტესობა „სრულებით ვერ შოულობს საჭმელათ ხორცს“, ხოლო მათი მცირე ნაწილი „წელიწადში რამდენჯერმე, ან კვირაში ერთხელ ხორცის პატარა ნაჭერს შეექცევა“... აქაური გლეხის შრომის და ცხოვრების პირობები აუტანელია. მუშაობა დილა ადრიან დაღამებამდე გრძელდება, დღიური ხელფასი სამ აბაზს არ აღემატება, შრომა ინტენსიურია. გლეხები ვიწრო და ბინძურ ბინაზე ცხოვრობენ: ხშირათ თექვსმეტი კაცი თავსდება ერთ ოთახში. ასეთი ნიადაგი ძლიერ გამოსადეგი დროა სოციალისტურ აგიტაციისათვის. იტალიის გლეხებში სოციალისტების პოლიტიკური და ორგანიზაციური გავლენა დიდია. თვით იტალიელი გლეხი გრძნობს, რომ ცალი ფეხი მუშათა კლასში აქვს გადადგმული, რომ მისი შველა კაპიტალისტურ წესწყობილებაში შეუძლებელია. იტალიელი გლეხი გამუდმებით იბრძვის არსებობის პირობების გასაუმჯობესებლათ. ბრძოლის იარაღი მას ბევრგვარი აქვს, მარა ყველაზე ხშირათ გაფიცვას ხმარობენ. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ აპულიაში დიდი აგრარული მოძრაობა დაიწყო. 15 ათასი გლეხი აჯანყდა. იმათ შეკრეს ყველა გზები, რომელიც კი ქალაქში მიდის. გლეხები ცდილობენ ქალაქები უწყლოთ დატოვონ. მთავრობამ სასტიკ ზომებს მიმართა. ქალაქი რუვო ჯარმა დაიჭირა; კანოზაში უკვე სისხლი დაიღვარა.

**ინგლისი.** ინგლისში პროფესიონალური კავშირები სხვა სახელმწიფოებთან შედარებით კარგ პირობებში არიან ჩაყენებული. სახელმწიფოს მხრივ იქ კავშირების თავისუფლება ფართოა. ინგლისში სახელმწიფოს მოსამსახურეებსაც ნება აქვთ კავშირი შეკრან. მაგ., ფოსტის მოხელეებს საკუთარი პროფესიონალური ორგანიზაცია აქვთ და ის მიწერმოწერასაც კი მართავს უფროსებთან. მიუხედავათ ამისა, იქაც კი ხდება შეტაკება კავშირების თავისუფლების ნიადაგზე. დიდი ხანია, რაც რკინის გზის მუშებმა სინდიკატი მოაწყვეს; რკინის გზის კომპანიები წინააღმდეგი არიან მუშების შეკავშირების და არ სურთ სინდიკატი იცნონ. მანჩესტერში ამის შესახებ მიტინგი გაიმართა, სადაც გადაწყდა, რომ კაპიტალისტებს გაფიცვით ამოსდონ ადვილი. საქმის საბოლოოთ გადაწყვეტა მაინდო კავშირის ყველა წევრებს. პარლამენტში შეკითხვა შეიტანეს.

## დეპეშები
(პეტერბურგის დეპ. სააგ.)
16 სექტემბერი

### არჩევნები

**პეტერბურგი.** სააგენტოს ცნობებით 15 სექტემბრამდე წინეთ არჩეულ რწმუნებულებს მიემატა წვრილ მემამულეთაგან 422. ამათგან 1 ოქტ., 15 კ. დ., 4 ს. დ. 1 მირნ. ოჩნ., 139 ნაროდოვ., 1 მონარქ., 44 მემარჯ., 4 ზომ., 8 მემარცხ., 162 უპარტიო, 73 გამოურკვეველი.

მუშათაგან მიემატა 55 რწმუნებული 28 ს. დ., 1 ს. რ., 4 მემარჯ., 2 ზომ. 1 მონარქ., 10 უპარტ., 4 უკიდ. მემარც. 5 გამოურკვეველი.

გლეხთა რწმუნებულებს მიემატა 883. 3 რუს. კავ., 20 ოქ., 20 კ. დ. 5 ს. დ., 8 ლატ. რეფ. 135 მონარ. 178 მემარჯ. 273 უპარტ. 15 მემარც. 173 გამოურკვ.

**პეტერბურგი.** 16 სექტემბრამდე რწმუნებულთ რიცხვის კვალად მიემატა: გლეხთა კურიიდან 2439 რწმუნებული. 19 ს. რ., 1 უფ. წ., 20 ოქტ., 14 კ.-დ., 7 ს. დ., 7 ს. რ., 33 ლატიშთა რეფორმ., 60 ნაციონ., 34 ნაროდ., 264 გამოურკვეველნი, 951 უპარტიო, 95 მონ., 538 მემარჯ., 73 ზომ. 203 მემარ. 66 ესტონთა პროგ.

წვრილ მემამულეთა რწმუნებულებს მიემატა 2642. 52 ჰეშ. რუს., 36 ოქტ., 66 კ. დ., 2 ს. დ., 143 ნაც., 277 ნაროდ., 384 გამოურკვეველნი, 661 უპარტიო, 620 მემარჯ., 338 მონარქ., 63 ზომ,, 34 პროგრ. 61 მემარცხენე.

მუშათა რწმუნებულებს მიემატა 220. 1 ჰ. რ., 25 ს. დ., 1 ტრუდ., 46 ნაროდ., 3 პოლ. სოც. პარტ., 44 გამოურკვეველნი, 95 უპარტიო, 17 მემარჯ. 15 ზომიერი, 24 მემარცხენე და 18 სოციალისტი.

**სევასტოპოლი.** პაპოვიჩის სახლში აღმოაჩინეს ხელის პულემიოტები, 200 თოფისა და რევოლვერის პატრონები. გასაგზავნათ დამზადებული ყუმბარები.

**ოდესა.** საღამოს, ქალაქის სხვა და სხვა უბნებში სროლა იყო. დაიჭრა და მოვაიდ რამოდენიმე კაცი.

**პეტერბურგი.** სამხედრო გაძლიერებული დაცვის წესები გაგრძელდა ერთი წლით ხერსონსა და მის მაზრებში; ყაზანსა და ურალსკში. აგრეთვე ახლად გამოცხადდა საჰხედრო წესები ზაქათალის ოლქში.

**სიზრანი.** კამიშლეიკაში მოკლეს მემამულე ნასაკინი, და დასწვეს მისი ქონება ... [illegible]

**ლოძი.** გაფიცვის გამო ფეოდოროვის საქსოვი ქარხნის მუშები ყველანი დაითხოვეს.

**ეკატერინოსლავი.** მოკლეს უფროსი გოროდოვოი დრუჟოვსკის ქარხნისა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს წევრი ხარიტონოვი დაინიშნა სახელმწიფო კანტროლიორათ.

**ოდესა,** გენერალ-გუბერნატორმა დაატუსაღა 17 წევრი „მოლოდაია ვოლია“-სი.

**სევასტოპოლი.** 15 ენკენისთვეს, სამი უცნობი აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი, შევიდა ბრესტის პოლკის მორიგ როტაში და აცნობა აფიცერს, რომ პოლკის აფიცრები დაჭერილია და როტის უფროსი მოკლული. ამ ამბის გაგონებაზე აფიცრები ეზოში გამოცვივდნენ, აქ უცნობებმა სროლა აუტეხეს და შემდეგ გაიქცნენ. მძიმეთ დაიჭრა ბატალიონის უფროსი პოლიტიევი და როტის კამანდირი ნოვიკოვი. უცნობნი მიიმალნენ.

### ხოლერა.

**სარატოვი.** გუბერნიაში ავათ გახდა 17, მოკვდა 11.

**ტომსკი.** ავათ გახდა 15, მოკვდა 11.

**ნოვგოროდი.** კიდევ გახდა ავათ 8 კაცი და მოკვდა 2.

**სიმბირსკი.** ავათ გახდა 15, მოკვდა 9.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ეპიდემიის დასაწყისიდან ავათ გახდა 374, მოკვდა 171 კაცი.

**სამარა.** ეპ. დაწყ. ავათ გახდა 404, მოკვდა 215.

### უცხოეთი

**მაინაუ.** გარდაიცვალა ბადენის გერცოგი.

**შანჰაი.** კიანგსის სამხრეთ პროვინციებში დაიწყო ბოქსიორთა მოძრაობა. მოკლეს რამოდენიმე ქრისტიანი ჩინელი. იტალიელი მისიონერები გაიქცნენ.

**მონპელიე.** ასეთი წარღვნა 1858 წლის აქეთ არ მომხდარა. რკინის გზის მიმოსვლა შეწყვეტილია. ხალხის გადასარჩენათ ზომებია მიღებული. წალეკილია პირნახულის ნახევარი.

რედაქტორ-გამომცემელი
**იოსებ ზ. გიორგობიანი**


## განცხადებანი

**ახალი სამოსახლოები**

### იყიდება

ვერაზედ „სალხინოსა“ და მალაკნების უბან შუა, მაკაროვების ადგილებში. ძვირფასი ადგილებია და საუკეთესო სამოსახლოები საბურთალოზედ, სამხედრო საშეს გზის პირზე, მუშტაიდის პირდაპირ მტკვარს გაღმა. სამოსახლოები ასიდან ას ოც ოთხ-კუთხედ საჟენამდეა, ფულის შეტანა თვე და თვეა, ექვსი თვის განმავლობაში, 1 სექტემბრიდან, ფულის შემოტანის შემდეგ დაუმტკიცდებათ ადგილები. ვისაც ნებავს, შეუძლიათ მოიკითხოს „ახალშენი“-ს კანტორაში სევასტი გაჩეჩილაძეს, სასახლის ქუჩაზე, თავადაზნაურობის სახლში და ვერის დალმართზე იქ, სადაც უწინ იყო ქალაქის საყასბო და დღეს იყიდება ალექსანდრე გაბაევის ადგილები—ბაგრატ თოროზოვს. ფასებსაც იქ გაიგებენ.

**გამგენი:** სევასტი მიხ. გაჩეჩილაძე, ბაგრატ თოროზოვი და ისააკ ბახტაძე
(10—ფ.—1)

## კლინიკა
კბილის ავათმყოფობისა
### ლ. შტრეიხერისა
კბილის ხაექიმო სკოლასთან
ერევნის მოედანი, (პუშკინის ქ., 3).

ავათმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან

ფასი მკურნალობისა:

| | |
|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოთ | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება | 20 „ |
| კბილის გაწმენდა | 50 „ |


მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული, მუხრანსკის სახლი № 1.